არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვა/ფიქსაციის მეთოდი

მარინა თაქთაქიშვილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორანტი

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებაა.
აკმ-ს ელემენტის იდენტიფიცირებისათვის წინაპირობა უნივერსალურია: არა ტრადიციის სიძველე, არამედ მისი არსებობა ცოცხალ პრაქტიკაში, მისი უწყვეტი მემკვიდრეობითობა და ის, თუ რამდენად აქვს მას შენარჩუნებული სოციალური ფუნქცია პირვანდელი თუ ტრანსფორმირებული სახით.

ელემენტის დაცვისათვის საჭიროა, სახელმწიფომ შეარჩიოს დაცვის სწორი მექანიზმები. მართებული არ იქნება მატერიალური ძეგლის დაცვისათვის განსაზღვრული მექანიზმების პირდაპირ გავრცელება აკმ-ზე. მაგალითად, თუ მატერიალური ძეგლის რესტავრაციის მთავარი პრინციპი კონსერვაციაა, აკმ-ს შემთხვევაში კონსერვაცია პირდაპირ ეწინააღმდეგება აკმ-ს მუდმივად ცვალებად ბუნებას.

კონვენციის სულისკვეთებიდან გამომდინარე, შეიძლება განისაზღვროს აკმ-ს დაცვის შემდეგი მექანიზმები:

- *აღნუსხვა: იდენტიფიცირება, დოკუმენტირება/ინვენტარიზაცია*
- *ინფორმირებულობა*
- *სამეცნიერო კვლევა*
- *ტრანსმისია*
- *ჰიბრიდული ტრანსმისია*
- *აკმ-ს პრაქტიკირების სივრცის შენარჩუნება*
- *სამართლებრივი ზომები*
- *ეკონომიკური მექანიზმები*

აღნუსხვა: იდენტიფიცირება, დოკუმენტირება/ინვენტარიზაცია

UNESCO აკმ-ს დაცვის აუცილებელ ღონისძიებათა შორის პირველს იდენტიფიკაციასა და დოკუმენტირებას ანუ მის ინვენტარიზაციას, აღნუსხვას ასახელებს. ეს ლოგიკურიცაა, რადგან მოვლენის არსის გამოსავლენად თავდაპირველად მისი იდენტიფიცირებაა აუცილებელი. ასე განისაზღვრება არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ესა თუ ის ნიმუში ანუ ელემენტი, რომელიც თავის ადგილს დაიკავებს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საერთო ნუსხაში. ამ ელემენტების ერთობლიობა შეადგენს მონაცემთა ბაზას. მასში თავმოყრილი ინფორმაცია იძლევა ყველა მნიშვნელოვან მონაცემს წარმოდგენილი ელემენტის შესახებ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ინვენტარიზაცია არა მარტო თავისთავად წარმოადგენს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ერთ-ერთ მექანიზმს, არამედ ამავე დროს, არის ის ბაზისიც, რომელსაც დაცვის სხვა მექანიზმები ეფუძნება.

სწორედ ამიტომ, შემთხვევითი არაა, რომ UNESCO არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის აღწერა/ინვენტარიზაციას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს.

კონვენციის თანახმად (თავი III, მუხლი 11ბ) ეროვნულ დონეზე, სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა უზრუნველყოს "მის ტერიტორიაზე არსებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა ელემენტის იდენტიფიცირება და განსაზღვრა". ხოლო მომდევნო, მუხლი 12ა ავალდებულებს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს "დაცვის მიზნით, იდენტიფიკაციის უზრუნველსაყოფად, საკუთარი სიტუაციის გათვალისწინებით, შეადგინოს მის ტერიტორიაზე არსებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ერთი ან რამდენიმე ნუსხა".

ამრიგად, აკმ-ს აღრიცხვის მიზნით იქმნება აკმ-ს რეესტრი, რომელიც ექვემდებარება მუდმივ განახლებას, რაც სპეციალურადაა ხაზგასმული კონვენციაში. აღრიცხვის მეთოდს წარმოადგენს სააღრიცხვო ბარათი, რომელიც შეიცავს დეტალურ ინფორმციას ელემენტის შესახებ და წარმოადგენს საბაზისო დოკუმენტს, ბაზისს ელემენტის რეესტრში შესატანად და მისთვის სტატუსის მისანიჭებლად.
კონვენცია საერთაშორისო დონეზე გვთავაზობს აკმ-ს ელემენტის დაცვისთვის სამი ტიპის ნუსხას:
1. არამატერიალური კულტურული მემიკვიდრეობის ელემენტის წარმომადგენლობითი ნუყსხა;
2. გადაუდებელი დაცვის საჭიროების აკმ-ს ელემენტთა ნუსხას;
3. საუკეთესო პრაქტიკების ნუსხას.
სამივე ნუსხაში ელემენტის მოსახვედრად სახელმწიფოს მიერ წარდგენილ სათანადო დოკუმენტაციას განიხილავს იუნესკოს ექსპერტთა საბჭო და რეკომენდაციის შემდეგ სტატუსს ანიჭებს იუნესკოს მთავრობათაშორისი კომისია.

საქართველოში შემუშავებულია დაცვის შემდეგი მექანიზმები:
1. აკმ-ს ელემენტისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭება - ენიჭება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანებით;
2. აკმ-ს ელემენტისთვის ეროვნული ძეგლის სტატუსის მინიჭება - განესაზღვრება პრემიერ მინისტრის მიერ დადგენილების საფუძველზე;
3. ეროვნული სტატუსის მქონე ელემენტის წარდგენა საერთაშორისო ნუსხის ამა თუ იმ ჩამონათვალში - წარსადგენ ელემენტს ამზადებს საინიაციტოვო ჯგუფი და წარადგენს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ხელმოწერით, საგარეო საქმეთა სამინისტრო, იუნესკოს ეროვნული კომისიის სამდივნოს გავლით.

განვიხილოთ აკმ-ს ელემენტის აღნუსხვის არსებული მეთოდოლოგია.

იმისათვის, რომ საქართველოში მოხდეს აკმ-ს ელემენტის იდენტიფიცირება, საჭიროა დაინტერესებულმა საზოგადოებამ (ან ინდივიდმა) შეავსოს ელემენტის სააღრიცხვო ბარათი, რომელიც შემუშავდა 2012 წლს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ და დამტკიცებულია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრიოს ბრძანებით (.....) მოგვიანებით სააგენტოს მიერ მოხდა სააღრიცხვო ბარათის გადამუშავება და შევსება. განახლებული ფორმით სააღრიცხვო

ბარათის დამტკიცება მოხდება „საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის კოდექსის“ მიღების თანმდევად, როგორც კანონქვემდებარე დოკუმენტის.
სააღრიცხვო ბარათი ერთგვარი პასპორტია აკმ-ს ელემენტისთვის, სადაც კონცენტრირებულია მაქსიმალური ინფორმაცია ელემენტის შესახებ. (იხ. სააღრიცხვო ბარათის ფორმა დანართი N 1)

იმთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სააღრიცხვო ბარათში აკმ-ს ელემენტი მოხსენიებულია ობიექტის/ძეგლის სახელწოდებით. ამ შეუსაბამობის მიზეზი საქართველოს კანონმდებლობაშია, რადგან დღემდე, აკმ-ს სახელმწიფო რეგულაციები ხდება „საქართველოს კანონით კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ , სადაც 2007 წლის მიღებულ ჩასწორებულ და შევსებულ ვერსიაში არ იქნა გათვალისწინებული კონვენციით შემოთავაზებული ტერმინი „ელემენტი“ და იმის გამო, რომ თავის დროზე აღნიშნული კანონი შეიქმნა მატერიალური მემკვიდრეობისათვის, მასში სწორედ მატერიალური მემკვიდრეობის აღმნიშვნელი ტერმინი „ობიექტი“ იქნა გამოყენებული. ეს ტერმინოლოგიური შეუსაბამობა დღემდე გარკვეულ სირთულეებს ქმნის აკმ-ს ელემენტის იდენტიფიცირებისას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის კოდექსის“ პროექტში, სადაც აკმ-ს მთელი თავი აქვს დათმობილი, სხვა შეუსაბამოებთან ერთად აღმოფხვრილია ეს ხარვეზიც - აკმ-ს ობიექტი/ძეგლი ტერმინით „ელემენტი“ არის ჩანაცვლებული, რითიც კოდექსი სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო კონვენციასთან.
ქართული სააღრიცხვო ბარათი შედგება 16 პუნქტისაგან. მათგან 12-15 პუნქტები ბარათის წარმდგენის, მის შევსებაში მონაწილეთა და სხვა. ამგვარი საორგანიზაციო დეტალების შესახებ ინფორმაციის მოწოდებას ისახავს მიზნათ; პუნქტი N16 გათვალისწინებულია თავად სააგენტოს მიერ შესავსებად, იმ დროისთვის, როდესაც აღნიშნული ბარათები ელექტრონული ბაზისთვის გადამუშავდება და აკმ-ს ელ. ბაზაში დაიდებს ბინას.
იუნესკოს წარმომადგენლობითი ნუსხისა და გადაუდებელი დაცვის საჭიროების ელემენტებისთვის ორი, ერთმანეთისგან მცირეოდენ განსხვავებული ბარათის ფორმაა შესავსები. ორივე ბარათი შედგება შესავალი ნაწილისაგან (პუნქტები ა, ბ, ბ1, ბ2, ბ3, გ,დ,ე,ვ, ვ1, ვ2) და 6 კრიტერიუმისაგან. კრიტერიუმები თავის მხრივ ჩაშლილია ქვეპუნქტებად.

ბარათის შესავალი ნაწილი წარმდგენი სახელმწიფოს, ელემენტის სახელწოდების(მათ შორის ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე), წარმდგენი სახელმწიფოს ენისა და დამწერლობის გამოყენებით სახელწოდების, ელემენტის სხვა დასახელებების, ელემენტით დაინტერესებული პირების ან გაერთიანებების დასახელების, კორესპონდენციაზე დანიშნული საკონტაქტო პირის, შესახებ ინფორმაციას გულისხმობს, ანუ შესავალი ნაწილი ისევე როგორც ქართული ბარათის უნქტები N12-15, მოიცავს საინფორმაციო მნიშვნელობის დეტალებს ელემენტისა და წარმდგენის თაობაზე. თუმცა, უნდა ითქვას, რომ აქვეა ელემენტის გეოგრაფიული მდებარეობისა და მისი გავრცელების ფარგლების თაობაზე და ელემენტის სახეობაზე მოთხოვნილი ინფორმაცია. ქართულ ბარათში ეს ორი ინფორმაცია ცალკე პუნქტებადაა გამოყოფილი და ასევე ბარათის დასაწყისშია მოცემული.

ქართული ბარათის N1-11 პუნქტები ელემენტის შესახებ მაქსიმალური ინფორმაციის მიღების მიზანს ემსახურება.

იუნესკოს ბარათების 1-6 კრიტერიუმები ასევე ელემენტის შესახებ მაქსიმალური ინფორმაციის მიღების მიზანს ემსახურება.

ობიექტის/ელემენტის სახელწოდება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელია ზოგადად აკმ-ს ელემენტისთვის. სწორედ სათაურში მოსჩანს აკმ-ს ძირითადი არსი - ის ცოცხალი პროცესია და არა პროდუქტი, ამიტომ სათაურიც პროცესის (ტექნოლოგიის, მეთოდის, კულტურის, დამზადების წესის და ა.შ.) ამსახველი უნდა იყოს. მაგ.; უნდა იყოს: „დამბალხაჭოს დამზადების ტექნოლოგია“ და არა „დამბალხაჭო“, ან „ვეფხისტყაოსნის ზეპირად ცოდნის ტრადიცია“ და არა „ვეფხისტყაოსანი“; ან, „ხაჭაპურის დამზადების ტრადიცია“ და არა „ხაჭაპური“, რადგან დამბალხაჭო, ვეფხისტყაოსნის ზეპირად მცოდნეების არსებობა, ხაჭაპური პროდუქტია, რომელიც პროცესის შედეგია, თუმცა, ასეთ შემთხვევაში აკმ პროცესის აღმნიშვნელიცაა და ამ პროცესის შედეგად მიღებული პროდუქტისაც.

იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს უშუალოდ ქმედების აღმნიშვნელ პროცესთან, შესაძლებელია უშუალოდ მისი სახელწოდება იქნას გამოყენებული. მაგ.; „ქართული ჭიდაობა“, ან „ბერიკაობა“ ან „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“ და ა.შ.; ასეთ შემთხვევაში გამოყენებული სახელწოდება ასევეა აკმ-ს და პროდუქტის ერთდროულად აღმნიშვნელი.

იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო ექსპერტიზა ხორციელდება იუნესკოს სამუშაო ენაზე (ინგლისური და ფრანგული), ბარათი N2 და 3-ში ელემენტის დასახელება საჭიროა დაიწეროს: ერთ-ერთ ამ ენაზე, ასევე, მშობლიურ (ბარათის წარმდგენი სახელმწიფოს) ენაზე, მათ შორის ამ სახელმწიფოს დამწერლობის გამოყენებით. აქვეა შემოთავაზება ძირითადი სახელწოდებასთან ერთად აღინიშნოს სხვა სახელწოდება, რომლითაც ელემენტი გავრცელებულია ამავე სახელმწიფოს სხვადასხვა, ან ერთ კუთხეში (მაგ.: „ქართული ჭიდაობა“ – „ღოჯური, ცალხელა, მაჯური და ა.შ. ჭიდაობა; ან, „ქვევრში ღვინის დაყენების ქათული ტრადიციული მეთოდი“ – „ჭურში ღვინის დაყენების ქართული ტრადიციული მეთოდი“ და ა.შ.)

ობიექტის სახეობა

ამ ნაწილში უნდა განისაზღვროს კონვენციის 2.2 მუხლის მიხედვით განსაზღვრულ ჩამონათვალის მიხედვით ერთი ან მეტი სფერო:

1. ზეპირი ტრადიცია და გამოხატვის ფორმა - ბარათი N1-ისთვის; (ზეპირსიტყვიერი ტრადიციები და გამოხატვის ფორმები, ენის, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მატარებლის, ჩათვლით - ბარათიN 2, 3)
2. საშემსრულებლო ხელოვნება
3. საზოგადოებრივი გამოცდილება - N1; საზოგადოებრივი პრაქტიკა, წეს-ჩვეულებები, დღესასწაულები - N2,3
4. გარესამყაროსთან დაკავშირებული გამოცდილება - N1; ბუნებასა და სამყაროსთან დაკავშირებული ცოდნა და ადათ-წესები - N2, 3.
5. ხელოსნობის დარგები და ტექნოლოგია - N1; ტრადიციული ხელოსნობა - N2, 3.

6. სხვა - N2,3.

აკმ-ს სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება აღინიშნოს ერთი, ან რამდენიმე სფერო. მაგ.: „ქართული ჭიდაობა“ არის საზოგადოებრივი გამოცდილება, თუმცა, ის ასევე მოიცავს საშემსრულებლო ხელოვნებასაც - რადგან აქვს სამუსიკო თანხლება; და ხელოსნობის დარგებსა და ტექნოლოგიასაც - რადგან მოჭიდავეები არენაზე გამოდიან სპეციალურად შეკერილი სამოსით - ჩოხით.

„ბერიკაობა“ ხუთივე სახეობას განეკუთვნება: მასში გამოიყენება ზეპირსიტყვიერება - ლექსები, შაირები, ტექსტები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა და ნაწილობრივ, ან, მთლიანად იცვლება თანამედროვეობის გათვალისწინებით; ელემენტი ასევე განეკუთვნება საშემსრულებლო ხელოვნებას, რადგან მასში გამოყენებულია სასიმღერო და საკრავიერი მუსიკა, ამასთან, ის იმპროვიზირებული თეატრალიზირებული სანახაობაა; რა თქმა უნდა, ბერიკაობა საზოგადოებრივი გამოცდილებაა; ის ასევე არის გარესამყაროსთან დაკავშირებული გამოცდილება, რადგან გაზაფხულზე, ყველიერის კვირას ტარდება და უკავშირდება ბუნებისა და რელიგიურ კალენდარს; ასევე, არის ხელოსნობის დარგი და ტექნოლოგია, რადგან ბერიკაობისთვის მზადდება სპეციალური ნიღბები, სამოსი.

მნიშვნელოვნად გვესახება თავად საერთაშორისო ბარათებში სახეობების განსაზღვრის ადგილმდებარეობა. ის N1. კრიტერიუმის **ელემენტის იდენტიფიკაცია და განსაზღვრა** ნაწილია, ან შესავალშია მოცემული. ჩვენი თვალთახედვით სახეობების განსაზღვრის მიმართ ასეთი დამოკიდებულება თავად ბარათების სხვადასხვა ნუსხაში ნომინირებისთვის მისი მნიშვნელობის შესახებ მიუთითებს. ერთ შემთხვევაში ის იდფენტიფიკაციის ნაწილია, რაც წარმომადგენლობითი ნუსხისთვის ელემენტის აღსაწერად უმთავრესია, ხოლო მეორეში ის შესავალი ნაწილის შემადგენელია, რადგან გადაუდებელი საჭიროების ბარათისთვის იდენტიფიკაციის ნაწილში სხვა პრიორიტეტებია დასახული.

ობიექტის გავრცელების არეალი

ქართული ბარათის პუნქტი მოიცავს ოთხი ტიპის განმარტებას: ამჟამინდელი გავრცელების არეალი; ისტორიული გავრცელების არეალი; წარმოშობის ადგილი; კულტურული სივრცე. და აკმ-ს ელემენტის სივრცით, გეოგრაფიულ განშლაზე მიუთითებს. შესაძლოა ზოგიერთი მათგანის შესახებ ინფორმაცია არ იყოს დაზუსტებული, მათ შორის არც ისტორიოულ წყაროებში, ამ შემთხვევაში უნდა მიეთითოს ხელმისაწვდომი წყაროებით ცნობილი ინფორმაცია. საინტერესოა, რომ ხშირად ბარათის შევსებაში მონაწილე პირებს არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია (ან მცდარი ინფორმაცია აქვთ) ელემენტის ისტორიული გავრცელების, ან წარმოშობის ადგილის შესახებ. ამ ხარვეზის აღმოფხვრა ყოველთვის ვერ ხერხდება, რადგან აკმ მეტად მრავალსახოვანი დარგია და ხშირ შემთხვევაში კონკრეტული დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მოძებნა და სამუშაოში ჩართვა ვერ ხერხდება. აქვე მინდა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ელემენტის შესახებ იმფორმაციის მოწოდება შეუძლია ნებისმიერ პიროვნებას, მის იდენტიფიცირებაში აუცილებელია ჩართული იყოს ელემენტის მატარებელი.

არამატერიალური მემკვიდრეობის სექცია, რომელიც სწავლობს შემოთავაზებულ ელემენტს და რეკომენდაციას იძლევა მისთვის სტატუსის მინიჭების თაობაზე,

დაკომპლექტებულია სხვადასხვა დარგის ექსპერტებით. ინფორმაციის დაზუსტება და ჩასწორება, სწორედ მათი კომპეტენციაა.

საერთაშორისო ბარატებში **ელემენტის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და ფარგლების** თანდართულ განმარტებაში საერთაშორისო ბარათებში ითხოვენ სახელმწიფო(ები)ს ფარგლებში ელემენტის გავრცელების შესახებ ინფორმაციის გადმოცემას და შესაძლებლობის ფარგლებში იმ კონკრეტული ადგილმდებარეობის(ების) მითითებას, სადაც ის არის კონცენტრირებული. ნომინაციები ფოკუსირებულია წარმდგენი სახელმწიფოების ფარგლებში არსებულ სიტუაციაზე ელემენტთან მიმართებაში. ამავდროულად, აღიარებული უნდა იყოს მსგავსი ელემენტების არსებობა აღნიშნული სახელმწიფოების ტერიტორიების ფარგლებს გარეთაც.

ნათელია, რომ საერთაშორისო დოკუმენტაცია ითხოვს ელემენტის გავრცელებისა და გეოგრაფიული ფარგლების შესახებ ინფორმაციას სახელმწიფოს ტერიტორიაზე თანამედროვე მდგომარეობით; მას არ აინტერესებს ელემენტის ისტორიული გავრცელების, წარმოშობის ადგილის შესახებ ინფორმაცია, თუმცა აუცილებელი მოთხოვნაა სხვა ქვეყნებში ანალოგიური ელემენტის გავრცელების შესახებ ინფორმაციის მოწოდება.

წარმოშობის დრო

საინტერესოა, რომ საერთაშორისო ბარათები საერთოდ არ შეიცავს ელემენტის წარმოშობის დროსთან დაკავშირებული ინფორმაციის მოწოდებას. აღნიშნული გარემოება დაკავშირებულია რამდენიმე ფაქტორთან. კერძოდ:

1. კონვენციას არ აინტერესებს ელემენტის სიძველე, ხანდაზმულობა, რადგან ელემენტის მინიმალური ასაკი კინვენციის მიხედვით არის 70 წელი, ანუ სამი თაობა. თუ ელემენტი მინიმუმ სამი თაობის მიერ არის პრაქტიკირებადი, ის უკვე იდენტობის გამომხატველად და ტრადიციულად ითვლება;

საერთაშორისო ბარათების წინა წლების რედაქციებში (2012, 2015, 2016), მართალია არ იყო მითითება ელემენტის წარმოშობის დროსთან დაკავშირებით, კრიტერიუმი *R.1* იძლეოდა შესაძლებლობას აღწერილიყო ელემენტის წარმოშობის მოკლე ისტორია, სადაც წარმდგენი სახელმწიფოები სიამაყით უსვავდნენ ხაზს ელემენტის უძველეს წარმომავლობას და უთითებდნენ მეტ-ნაკლებად კონკრეტულ პერიოდებს, ისტორიის მონაკვეთს. აღნიშნული ხშირ შემთხვევაში იწვევდა სხვა წევრი-სახელმწიფოების გაღიზიანებას, კამათსა და უთანხმოებას საკითხთან დაკავშირებით, რადგან საქმეში ერთვებოდა ელემენტის წარმომავლობის თემაც.

არც თუ იშვიათად, იგივე საკითხები ქვეყნის შიგნით უთანხმოებისა და დავის, ზოგჯერ დაპირისპირების თემას წარმოადგენს. მაგ.: „ქართული ანმბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურის“ სააღრიცხვო ბარათზე მუშაობისას, ქართველი მეცნიერები ვერაფრით შეთანხმდნენ სახეობების წარმოშობის დროსთან დაკავშირებით. ეს კამათი დღემდე აქტუალურია და დაპირისპირებისა და დავის საგანია, მით უფრო, რომ საერთაშორისოდ

აღიარებული ქართული ნომინაცია კონკრეტული თარიღების აღნიშვნას მოიცავს, რომლის შეცვლასაც მოითხოვენ ცალკეული მეცნიერები და ექსპერტები.

ბარათებზე მუშაობის საქართველოში დაგროვილმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ წარმოშობის თარიღთან, ისევე როგორც წარმოშობის ადგილთან, ისტორიული გავრცელების არეალთან და სხვ. მისთანა საკითხებთან დაკავშირებით უთანხმოებები მხოლოდ აფერხებს აკმ-ს ელემენტების იდენტიფიცირებას, რადგან ხშირად ქართული სამეცნიერო სკოლის წარმომადგენლები ამა თუ იმ ელემენტის კვლევის პროცესში ჩართულნი, თავად ვერ თანხმდებიან ერთ, რომელიმე საკითხზე. ახალი არქეოლოგიური მასალის, ბოლო დროს ახალი საერთაშორისო წყაროების ხელმისაწვდომობა, და კიდევ სხვა ბევრი ფაქტორი, როგორც სჩანს არა ერთი თვალსაზრისის, თუ ფაქტად აღიარებული ინფორმაციის გადახედვისა და შეცვლის საჭიროებას იწვევს, რაც თავის მხრივ ართულებს ელემენტის წარმოშობის კონკრეტიკის მითითბას. ისევ და ისევ, ქართული გამოცდილების გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში თუ ქართულ სააღრიცხვო ბარათში დარჩება აღნიშნული პუნქტი, ის მოითხოვს ექსპერტების ჩართულობას, რათა მაქსიმალურად მიახლოვებით განისაზღვროს ელემენტის წარმოშობის თარიღი.

ობიექტის ფუნქცია

მოიცავს ორ გრაფას: *თავდაპირველი და ამჟამინდელი*

ელემენტის ფუნქციის ზუსტი განსაზღვრა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ და შევადაროთ მისი დანიშნულება დროის ხვადასხვა მონაკვეთში. ხშირ შემთხვევაში, ფუნქციის განსაზღვრა ხელს უწყობს ელემენტის უკეთ შეცნობას, მისი არსის უკეთ გაგებას.

საერთაშორისო ბარათებისთვის არ არის მითითება ელემენტის წარსული ფუნქციის მინიშნებისთვის, თუმცა როგორც ერთ, ისე მეორე ბარათში კრიტერიუმ R.1-ში განსაკუთრებული ხაზგასმაა ელემენტის სოციალური ფუნქციის აღწერისა და განმარტებისთვის. მეტად მნიშვნელოვანია ბარათებში კრიტერიუმის ზოგადი სახელმძღვანელო მითითება, რომელიც სოციალურ ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას.

აღნიშნულ პუნქტში, საერთაშორისო ბარათზე მუშაობის პრაქტიკის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ ელემენტის სოციალური ან არსობრივი ფუნქცია მკვეთრად არის შეცვლილი, სავალდებულო ხდება ამის აღნივნა. მაგ.: ქართული ჭიდაობის ბარათზე მუშაობისას ავტორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ თავდაპირველად ქართული ჭიდაობა განიხილებოდა, როგოც სამარი ქმედებისთვის ახალგაზრდების ფიზიკური მომზადების საშუალება. ამჟამად მას სპიორტული შეჯიბრის, სანახაობის, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის, ახალგაზრდების ფიზიკური აღზრდის ფუნქციები აკისრია.

ობიექტის მატარებლები

ბარათში მოიაზრება სამი ტიპის ჩამონათვალი: თემები; ჯგუფები; ინდივიდები/ოჯახები. არსებული პუქტი თვალნათლივ გვაჩვენებს რამდენადაა გავრცელებული ელემენტი საქართველოს სოფლებში, თემებში და ერთგვარი მანიშნებელია ობიექტის სიცოცხლისუნარიანობის.

საერთაშორისო ბარათებში აღნიშნული თემა იმდენად მნიშვნელოვნად არის მიჩნეული, რომ 1 კრიტერიუმის (ელემენტის იდენტიფიკაცია და განსაზღვრა) შემადგენელია, და თან მოსდევს ელემენტის აღწერას. გადაუდებელი დაცვის საჭიროების ბარათში ელემენტის მატარებლების საკითხი ასევე გამოტანილია კრიტერიუმ ***U.1-ში*** თუმცა, ბარათის გადაუდებელი საფრთხეების გათვალისწინებით, ოდნავ სხვაგვარადაა აქცენტირებული (*ელემენტის წარმომდგენებისა და პრაქტიკოსების მახასიათებლები;)* ასეთი მიდგომა აიხსნება სწორედ იმ ფაქტორით, რომ წარმოდგენილი ელემენტი გაქრობის საფრთხის ქვეშაა და შესაბამისად მისი მატარებელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს მრავალრიცხოვანი, და მრავალფეროვანი, ამიტომაც, უფრო მნიშვნელოვანია იმ პირთა მახასიათებელების განზოგადება, ვინც ამ ელემენტს იცავს და კვლავ განაგრძობს მის პრაქტიკირებას.

ობიექტის პრაქტიკირებაში/დაცვაში/აღორძინებაში ჩართული (ან მასთან კავშირში მყოფი) ინსტიტუციები, ორგანიზაციები და ა.შ.

მნიშვნელოვანია მოწოდებული იქნას ინფორმაცია ელემენტის ინსტიტუციონალური დაცვის თაობაზე. პუნქტის შევსებით თვალნათელი ხდება სახელმწიფოსა თუ საზოგადოების დაინტერესება მოწოდებული ელემენტით.

საერთაშორისო ბარათებში მითითებულია: *სახელმწიფო(ებ)მ(ა)* ***უნდა უზრუნველყოს დემონსტრირება იმისა, რომ „შემუშავებულია დაცვის ზომები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ელემენტის დაცვა და პოპულარიზაცია“.***

დაცვის ზომების ამ კრიტერიუმში გამოყოფილია 3 გ.(**3.გ. დაცვის ღონისძიებებში ჩართული კომპეტენტური ორგანოები),** სადაც უნდა განთავსდეს ინფორმაცია იმ ორგანიზაციების შესახებ, ვინც ჩართულია კონკრეტული ელემენტის დაცვა/პრაქტიკირებაში.

აქვე, კრიტერიუმ 4დ-ში კიდევ ერთხელ არის მოთხოვნა იმ ორგანიზაციებსა თუ დაინტერესებულ იმ პირების ჩამონათვალისა, ვინც დაინტერესებულია ელემენტით, სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაკუთრებულადაა ხაზგასმული ინსტიტუციები, სამთავრობო და ადგილობრივი, არასამთავრობო და ცალკეული პირების შესახებ ინფორმაცია, ვინც დაცვის გეგმის თანამონაწილეა და პასუხისგებლობას იღებს ელემენტის მოკლევადიან და გრძელვბადიან დაცვის ღონისძიებებზე (**3.ბ. დაცვის ზომების რეკომენდირებული გეგმა)**

გარდა აღნიშნულისა, ბარათი N3 მეტ მოთხოვნებსა და პასუხისგებლობებს აყენებს საფრთხის ქვეშ მყოფი ელემენტისთვის, რაც ლოგიკურია და ერთგვარი გარანტიაა სახელმწიფოს მხრიდან ელემენტის დაცვისა და შემდგომი სიციცხლიანობის უზრუნველსაყოფად.

ობიექტის აღწერა

პუნქტი მოიცავს მოთხოვნას ელემენტი აღიწეროს შემდეგი სავალდებულო თემების ჩართვით:

აღწერეთ შემდეგი თანმიმდევრობით:

- ობიექტის წარმოშობის მოკლე ისტორია
- უშუალოდ ობიექტის აღწერა
- აღწერეთ ობიექტის სეზონურობა
- ობიექტის მატარებლების მახასიათებლები (გენდერული, ასაკობრივი, სპეციფიკური და ა.შ)
- ობიექტის თავდაპირველი და ამჟამინდელი სოციალური ასპექტები
- მატარებლის დამოკიდებულება ობიექტისადმი(რა თვალსაზრისით მიაჩნია ობიექტი საკუთარი კულტურული იდენტობის გამომხატველად, ყოფის, კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელ ნაწილად)

- აღწერეთ ობიექტის სწავლება-გადაცემის წესი
- აღწერეთ ობიექტის გავრცელების არეალი
- ჩამოთვალეთ/აღწერეთ ობიექტთან დაკავშირებული ხელსაწყოები, მასალები, სხვა აუცილებელი ატრიბუტები

ეს ნაწილი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია ქართული ბარათში ობიექტის იდენტიფიცირებისათვის. აღწერა უნდა მოხდეს ელემენტის სპეციფიკის გათვალისწინებით, მინიშნებული თანმიმდევრობით. როგორც წესი, ელემენტის აღწერისას ბარათის შემდგენელნი მეტად დიდ ადგილს უთმობენ ელემენტის წარმოშობის ისტორიას, ზედმიწევნით აღწერენ მის განვითარებას. თუმცა კონვენციის რეკომენდაციის მიხედვით ელემენტის ისტორია არ არის მის დღევანდელობაზე მეტად მნიშვნელოვანი. აქ კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი აკმ-ს სპეციფიკას: აკმ დღეს არსებული ცოცხალი პრაქტიკა და უნარ-ჩვევაა, ის დღეს არის სოციუმისთვის აქტუალური და მისი ფიქსირებაცა და კვლევაც დღეს არსებული გარემოს გათვალისწინებითა და დღევანდელი მდგომარეობით უნდა ხდებოდეს. (ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელია აკმ-სა და ეთნოლოგია/ეთნოგრაფიას შორის)

საერთაშორისო ბარათების კრიტერიუმი N1 მთლიანად ეხება ელემენტის აღწერას და იდენტიფიკაციას. ის რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტისაგან შედგება: *ამ ნაწილში მითითებული უნდა იყოს ელემენტის ამჟამად არსებული მნიშვნელოვანი მახასიათებლები, რაც მოიცავს შემდეგს::*

ა. ელემენტის არსებული სოციალური ფუნქციებისა და კულტურული მნიშვნელობის განმარტება შესაბამის გაერთიანებასთან მიმართებაში და მის ფარგლებში;;

ბ. ელემენტის წარმომდგენებისა და პრაქტიკოსების მახასიათებლები;

გ. ყველა სახის კონკრეტული ფუნქციები, ელემენტთან მიმართებაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობის მქონე პირების სქესის ან კატეგორიების ჩათვლით; და სხვ.

*თავიდან უნდა იყოს აცილებული ზედმეტი ტექნიკური აღწერილობების გადმოცემა, ფაილებში დეტალურად **არ უნდა იყოს** გადმოცემული ელემენტის ისტორია, მისი წარმოშობა და სიძველე.*

როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო სააღრიცხვო ბარათებში ელემენტის იდენტიფიკაციას-განსაზღვრას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.
ქართულ ბარათებზე მუშაობის გამოცდილებამ ცხადყო, რომ სააღრიცხვო ბარათებზე მომუშავე მატარებლები, ისევე, როგორც ბარათის ექსპერტიზაში ჩართული ექსპერტები არამართებულად აქცევენ გადაჭარბებულ ყურადღებას ელემენტის წარმოშობის ისტორიას, მის სიძველეს და სტატუსის მისანიჭებლად სწორედ ამ საკითხს განიხილავენ პრიორიტეტად. როგორც სჩანს ეს მხოლოდ ქართველი სპეციალისტების თავისებურება არ გახლავთ. საერთაშორისო სააღრიცხვო სისტემაში აუცილებელი გახდა ხაზგასმა იმისა, რომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტის იდენტიფიცირებაში ყველაზე ნაკლები მნიშვნელობა სწორედ მის სიძველესა და ისტორიის ხანგრძლივობას აქვს. ამ მახასიათებლებზე გაცილებით მნიშვნელოვანია *ელემენტის არსებული სოციალური ფუნქციები და მისი კულტურული მნიშვნელობის განმარტება შესაბამის*

გაერთიანებასთან მიმართებაში; ელემენტის წარმომდგენებისა და პრაქტიკოსების მახასიათებლები;ან ელემენტთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების გადაცემის არსებული საშუალებები.

მით უფრო, ელემენტის იმდაგვარი აღწერა, რომ მკითხველს, რომელსაც მასთან არ აქვს შემხებლობა, საშუალება ჰქონდეს გაეცნოს და დაინახოს იგი.

.

ცალკე პუქტია გამოყოფილი **ობიექტის დღევანდელი მდგომარეობი**ს აღწერისათვის. რომელთაგან პირველი (9.1) ელემენტის დღევანდელი მდგომარეობის ზოგადი შეფასებაა: 1. პრაქტიკაში ფართოდ გამოყენებადი 2. საშუალოდ გამოყენებადი 3. მინიმალურად გამოყენებადი 4. მივიწყებული 5. აღდგენის/აღორძინების პროცესში; და მხოლოდ სიმბოლოთი აღინიშნება, ხოლო 9.2 - საშუალებას იძლევა სიმბოლოთი აღნიშნული (9.1) გაიშალოს და შესაბამისად აღიწეროს ელემენტის მდგომარეობა დღევანდელ დღეს. 9.3 ელემენტის რისკების აღწერაა. აქვე მნიშვნელოვანია, რომ ავტორმა უნდა შემოგვთავაზოს რისკების აცილების გზები.

ეს პუნქტი ზედმიწევნით უნდა შეივსოს, მიეთითოს ის კონკრეტული ღონისძიებები, რომლითაც შეილება მოხდეს ელემენტის დაცვა, ანუ, თუ იუნესკოს ბარათი სხვადასხვაა ამ ორი ტიპისთვის ქართულ ბარათში უბრალოდ მეორე შემთხვევაში ზედმიწევნიდ დაწვრილებით ივსება დაცვის ზომები და რისკები. გასათვალისწინებელია, რომ იუნესკოს ბარათში (საფრთხის ქვეშ) გაწერილია წლების მიხედვით ძირითადი ღონისძიებები ელემენტის დასაცავად, მითითებულია თანხები და დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოები. ქართულ ბარათს ეს მოთხოვნა არ აქვს, თუმცა დღეისათვის შესაძლოა ეს ყველაზე მეტად აქტუალური იყოს აკმ-ს როგორც დარგის მნიშვნელობისთვის.

მაგ. ელემენტი, რომლის იდენტიფიცორებაც მოხდა 2015 წელს - სვანური ზარით დაკრძალვის ტრადიცია. მართლაც უკიდურესი საფრთხის ქვეშაა რამდენიმე მიზეზის გამო: ბოლო ათწლეულების მანძილზე მკვეთრად შემცირდა სვანური ზარის მთქმელთა რაოდენობა, თუმცა ელემენტი ინარჩუნებს თავის სოციალურ მნიშვნელობას არა მარტო სვანი მოსახლეობისათვის. ზარს ძირითადად ხანდაზმული სვანები ამბობენ, მათი რიცხვი ყოველწლიურად მცირდება, ხოლო ახალგაზრდა თაობა ნაკლებად დაინტერესებულია ამ ტრადიციის შენარჩუნებაში. სვანური ზარი არა მარტო რიტუალის ნაწილია, ის სასიმღერო კულტურაცაა, რომლის მრავალფეროვნება სულ რაღაც 15-20 წლის წინ 50-54 აღწევდა. 2015 წელს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა მხოლოდ 8 სახეობის ზარიღა მოიძია. დანარჩენი მისი მატარებლის გარდაცვალებასთან ერთად დაიკარგა, გაქრა. ელემენტის სიცოცხლისუნარიანობას ისიც უშლის ხელს, რომ მისი სწავლება ხდება მხოლოდ უშუალოდ დაკრძალვის პროცესში თანამონაწილეობით, რადგან არსებობს რწმენა, რომ ზარის თქმა არც სახლში, არც ეზოში, ან ვინმეს საცხოვრებელთან არ შეიძლება, უბედურების მომტანია. სწორედ ამიტომ, მეტად მცირეა იმ პირთა რაოდენობა, ვინც სწავლობს ზარს უშუალოდ დაკრძალვისას. ამ სვანური ელემენტისთვის, ისევე როგორც ზოგადად სვანური არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ტურიზმის არაგეგმაზომიერი განვითარება სვანეთის რეგიონში. მასობრივი ტურიზმის საფრთხეზე საუბარი საქართველოში ახლაღა დაიწყეს თუმცა ეს საფრთხე კარგა ხანია ცნობილია ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებისათვის, ესპანეთისთვის, პორტუგალიისთვის.

დამატებითი ინფორმაცია (შენიშვნები, რეკომენდაციები, წინადადებები)

აღნიშნული პუნქტი ასევე მნიშვნელოვანია იმ აქტივობების გასაცნობად, რომლებიც შემოთავაზებულია ელემენტის დაცვისათვის. აქ იგულისხმება ნებისმიერი ელემენტი იქნება ის გავრცელებული, თუ საფრთხის ქვეშ.

დოკუმენტაცია და ბიბლიოგრაფია (დასახელება, რაოდენობა, შენახვის ადგილი)

პუნქტი გულისხმობს ელემენტის აღწერისას გამოყენებულ ფოტო, ვიდეო, აუდიო მასალას, გრაფიკულ მასალას და ბიბლიოგრაფიას.

ვფიქრობთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აუდიო და ვიდეო მასალის წარდგენა, რომელზეც უშუალოდ იქნება ჩაწერილი ელემენტის მატარებლის მიერ ელემენტის ტექნოლოგია. სამომავლოდ, ნებისმიერ მატარებელს უნდა მიეცეს შესაძლებლობა თავად, ონლაინ რეჟიმში მოგვითხროს ელემენტის შესახებ. ეს სწორედ ის ხერხია, რომელიც საშუალებას მისცემს სამეცნიერო წრეებს მაქსიმალურად მეტი ინფორმაციის შეგროვების დახმარებით შესაბამისი კვლევები ჩაატარონ კულტურული მემკვიდრეობის ამა თუ იმ სფეროს შესახებ. ინტერნეტ საუკუნე ამ სამუშაოების ეფექტურობას ბევრად ზრდის და მნიშვნელოვან მრავალფეროვნებას იძლევა კვლევისა და დასკვნებისათვის.

ხშირად ექსპერტები სააღრიცხვო ბარათის შეფასებისას მას სამეცნიერო ნაშრომის კრიტერიუმებით აფასებენ, რაც არ არის გამართლებული. ბარათის შევსება უნდა შეეძლოს ნებისმიერ მოქალაქეს და მას სულაც არ მოეთხოვება ელემენტის შესახებ ბიბლიოგრაფიის ან სხვა სამეცნიერო-დოკუმენტური მასალის ცოდნა, მთავარი ამოსავალი უნდა იყოს ელემენტის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის სწორი მოწოდება მისი ყოფაში დღეს არსებული მდგომარეობის დაფიქსირება და არა ისტორიულ ჭრილში მისი წარდგენა ან სხვა ნებისმიერ რაკურსში განხილვა. ეს არის აკმ-ს ელემენტის სპეციფიკა, და აუცილებლად გასათვალისწინებელია ელემენტის სააღრიცხვო ბარათის შევსებისა თუ წარდგენის დროს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: ბარათს თან უნდა ახლდეს მაღალი ხარისხის ფოტო (სასურველია აუდიო/ვიდეო) მასალა, რომელიც სწორედ ელემენტის პრაკტიკირებას ასახავს, მისი შესრულების პროცესის ამსახველია, მის მარტარებელს აფიქსირებს.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის თავისებურების გათვალისწინებით, მის დასაცავად მხოლოდ აღნიშნული ქმედებები საკმარისი არ არის, რადგან არსებობს სოციალურ-ეკონომიკური საფრთხეებიც, მათ შორის: არასრულყოფილი სახელმწიფო დაცვის მექანიზმები, გლობალიზაციის პროცესი, კულტურის სტანდარტიზაციის ტენდენციები, შეიარაღებული კონფლიქტები, მოსახლეობის მიგრაცია, არასაკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსები, ზედმეტი კომერციალიზაცია (მათ შორის ტურისტული ან სხვა მიზნებით), ხელოვნური ჩარევა (მათ შორის აკრძალვა, მისადაგება, დადგმა, და ა. შ.) და ფიზიკური საფრთხეები: თაობიდან თაობისათვის აკმ-ს გადაცემის უწყვეტობის მოშლა, აკმ-ს მატარებლის დაცვის მექანიზმების არარსებობა, საზოგადოების ჯგუფების გენეტიკური მეხსიერებისა და აკმ-ს სოციალური გარემოს მოშლა... ეს არის იმ საფრთხეების არასრული ჩამონათვალი, რომლებიც გამუდმებით ზემოქმედებენ კულტურულ მემკვიდრეობაზე.

აღნიშნულის გამო განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფოს მიერ ისეთი სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ მის დაცვას. მათ შორის:

- აკმ-ს ელემენტისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭება;
- აკმ-ს შეტანა საფრთხის ქვეშ მყოფ ძეგლთა ნუსხაში;
- აკმ-ს მატარებლისათვის განსაკუთრებული სტატუსის - “ცოცხალი საუნჯის” მინიჭება;
- აკმ-ს დაცული არეალისა და კულტურული სივრცეების დადგენა.